ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/04

დაბა ქედა, 25 მარტი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 14:15 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 20 ესწრებოდა .

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
როლანდი ბერიძე-ქედის მუნიციპალიტეტის მერი;
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 მარტი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

25 მარტი, 2022 წელი

№	სახელი,გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	[illegible]	61001079[illegible]	577232614	[illegible]	[illegible]
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დღის წესრიგის წარდგენამდე საკრებულოს წევრების ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინა-რუსეთის ომში დაღუპულ სამი ქართველის ხსოვნას. შემდეგ განცხადება გააკეთა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, და აღნიშნა, რომ უკრაინაში არსებული მდგომარეობა დრამატულია, მიზანშეწონილია შესაძლებლობის ფარგლებში ყველამ დაეხმაროს უკრაინელ ხალხს. იმედი გამოთქვა, რომ ომი მალე დასრულდება და უკრაინელი ხალხი კვლავ გააგრძლებს მშვიდობიან ცხოვრებას საკუთარ მიწაზე.

შემდეგ განცხადება გააკეთა ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ 2022 წლის 16 მარტს №3 რიგგარეშე სხდომის ჩაშლის თაობაზე, სადაც კითხვით მიმართა საკრებულოს წევრებს, თუ რა სამართლებრივი საფუძველი ჰქონდათ უმრავლესობას, რომ არ დაესწრნენ საკრებულოს სხდომას და თავმჯდომარეს ჰკითხა რომელი კანონის საფუძველზე იყო შედგენილი მის მიერ მიწერილი მოტივირებული უარი, რომელიც დავით სირაბიძემ არ ჩათვალა სამართლებრივ პასუხად.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ საკითხი, რომელიც №3 რიგგარეშე სხდომაზე უნდა განხილულიყო საქართველოს კანონმდებლობასთან მოდიოდა შეუსაბამობაში, ვინაიდან საკრებულოს უფლება არ ჰქონდა საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოზე 10%-იანი დაქვითვა განეხორციელებინა. თუმცა ვალდებულების გარეშეც შესაძლებელია ნებისმიერმა საჯარო მოსამსახურემ სურვილის შემთხვევაში გადარიცხოს თანხა უკრაინის დასახმარებლად. რაც შეეხებოდა მოტივირებულ უარს რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში იყო მომზადებული, რაც განმარტებული იყო ასევე წერილში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ სხდომას მიმართა წინადადებით, რომ უკრაინის დასახმარებლად სხვადასხვა ბანკების საშუალებით შესაძლებელია თანხის გადარიცხა და ვისაც დახმარების სურვილი ჰქონდათ მიეღოთ მონაწილება.

შემდეგ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის მ.შ: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

6. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხის დღის წესრიგის პროექტში შეტანას კენჭი უყარა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა საკრებულოს წევრებსა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს როლანდ ბერიძეს, იზიარებდნენ თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პასუხს კითხვაზე (ინტერვიუდან ამონარიდი): „ომი უკრაინამ დაიწყო თუ რუსეთმა? პასუხი: ეს უნდა ჰკითხოთ ამ დარგის ექსპერტებს“, საჭიროა თუ არა დარგის ექსპერტობა, რომ ამ კითხვას პასუხობდეს თანამდებობის პირი?

რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ უპასუხა, სხდომაზე ადგილი აქვს პროვოკაციულ კითხვებს და მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემას არ აპირებდა, რადგან ეს კითხვა მისთვის არ დაუსვამთ და მისი შესაფასებელი არ იყო მთავრობის თავმჯდომარის პასუხი. დავით სირაბიძემ მერს უთხრა, რომ მსგავსი პასუხით გაურბოდა/თავს არიდებდა შეკითხვაზე პასუხს თუ ვინ დაიწყო ომი უკრაინაში, რაზედაც როლანდ ბერიძემ უპასუხა, რომ მისთვის ეს კითხვა არ დაუსვამს დავით სირაბიძეს, მან მთავრობის თავმჯდომარის გაკეთებული კომენტარის შეფასება მოსთხოვა და ამიტომაც გასცა ეს პასუხი და თუ შეკითხვა პირადად მისთვის ჰქონდა შეეძლო დაესვა და გასცემდა პასუხს. დავით სირაბიძემ შემდეგნაირად მოახდინა კითხვის ფორმულირება და როლანდ ბერიძეს ჰკითხა: ვინ დაიწყო ომი უკრაინის ტერიტორიაზე? რაზედაც როლანდ ბერიძემ უპასუხა, რომ ვინ დაიწყო ომი უკრაინაში მისთვის შეურაცხმყოფელია და იგივე ტიპის კითხვა იყო, მას რომ დაესვა დავით სირაბიძისათვის ,,თუ რა არის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს პარტიის საარჩევნო ნომერი? ფაქტი სახეზეა რუსეთი შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, ყველასათვის ცხადია ომი ვინც დაიწყო, ამით ყველაფერზე პასუხი ისეც გაცემულია, თუმცა მაინც გავაკეთებ ამომწურავ განცხადებას, ომი უკრაინაში რუსეთმა დაიწყო, რადგან აღარ მოხდეს ამ კითხვის პოლიტიკური კუთხით ტრიალი ოპოზიციის მხრიდან და დაესვას ამ კითხვას საბოლოოდ ამითი წერტილი" - უპასუხა როლანდ ბერიძემ.

ამირან ცინცაძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი და მისი შედეგები საკრებულოს სხდომაზე განსახილველი და შესაფასებელი საკითხი არ იყო, ნებისმიერ მათგანს, თუნდაც მთავრობის თავმჯდომარესაც ამაზე ერთი პასუხი აქვთ, ომი რუსეთმა დაიწყო, თუმცა ის რაც აქსიომაა კითხვადაც არ უნდა დაისვას და შეურაცხყოფად მიიჩნევს ამ კითხვას, ამიტომ ოპონენტებს სთხოვა მსგავსი ტიპის კითხვა აღარ დასმულიყო.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედის ტერიტორიულ საზღვრებში ადგილობრივი მუნიციპალური რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცებისა და სამგზავრო ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: 12-95220562-95, 25.02.2022 წელი), რომელსაც საჯარო ადმინისტრაციული წარმოებას საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია განახორციელებს, სადაც ზეპირი მოსმენის თარიღად 2022 წლის 22 აპრილი განსაზღვრეს, ხოლო ნორმატიული აქტის გამოცემის თარიღად კი 2022 წლის 29 აპრილი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ვინ უზრუნველყოფდა მიკროავტობუსის მოვლა-პატრონობას.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიკროავტობუსის მოვლა-პატრონობას და შენახვას ქედის მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220841, 25.03.2022 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტიის თაობაზე.

მომხსენებელმა გულად წითელაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: 12-95220813-95, 22.03.2022 წელი) და განმარტა, რომ მიზანშეწონილია მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს, როლანდი ბერიძეს, თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების 5 (ხუთი) ერთეული ხაზოვანი ობიექტის (წყალსადენი მილი და სარწყავი წყლის არხი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროზე პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

დანართი №1

№	ქონების დასახელება	სარწყავი არხების/მილსადენის მისამართი, დაფარვის ზონა	სარწყავი არხების/მილსადენის გრძივი მეტრი	საკადასტრო კოდი	ქონების საბალანსო ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი გოგიაშვილები	1857.44	21.00.580	15000	
2	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი გოგიაშვილები (ავალიანების უბანი)	102.69	21.00.579	2500	
3	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი გოგიაშვილები	218	21.00.155	5000	
4	წყალსადენი მილი	ქედა, სოფელი ოქტომბერი	1545.11	21.00.152	12000	

5	წყალსადენი მილი	ქედა, სოფელი ბალაძეები	1020.86	21.00.558	8000	
ჯამი			4744.1		42500	

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სოფელ აქუცის მიწის ნაკვეთის თაობაზე, თუ რა პროცესი მიმდინარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდგომ და რა ეტაპზე იყო ამჟამად.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, როგორ შეძლებდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნული ობიექტების მოვლა-პატრონობას, მაშინ როდესაც სამინისტროში შესაბამისი სამსახური არ ფუნქციონირებდა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდი ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფელ აქუცაში მის მიერ ორჯერ სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად მოხდა აღნიშნული ტერიტორიის დათვალიერება და მისი ინფორმაციით არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში სხვადასხვა ინვესტორებით მიწის ნაკვეთზე დაინტერესება და უახლოეს მომავალში საქმე დაიწყებოდა, ხოლო მეორე საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფუნქციონირებს მელიორაციის სამსახური, რომელიც განახორციელებს წარმოდგენილი ობიექტების მოვლა-პატრონობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220842, 25.03.2022 წელი).

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში. (წერილის ნომერი: 12-95220594-95, 28.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რამდენად კმაყოფილი იყო თავისი ანგარიშით, როცა არ არის რამდენიმე პროექტზე ფაქტობრივი შესრულება, კერძოდ: კუჭულაში სასმელი წყალი, დოლოგანში სასმელი წყალი, ცხმორისში სასაფლაოს შემოღობვა და მთების ელექტროფიკაციის საკითხი. ასევე დაინტერესდა რატომ არ იყო თანხა შემოსული სარეკლამო ბანერებიდან.

როლანდ ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, კუჭულის სასმელი წყლის რეაბილიტაცია ბოლომდე არ არის შესრულებული, რაც შეეხება მთების ელექტროფიკაციის საკითხს პროექტი ვერ განხორციელდა და ამიტომაც მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა და დაჯარიმება, ხოლო დოლოგნის სასმელი წყლის საკითხზე ახლა მიმდინარეობს მშენებლობა.

ჯემალ ტაკიძემ სარეკლამო ბანერებიდან შემოსულ თანხის თაობაზე განმარტა, რომ მხოლოდ ერთი სარეკლამო ბანერი ეკუთვნის მუნიციპალიტეტს და ამიტომაც არაა თანხა შემოსული ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ასევე მიმართა წინადადებით საკრებულოს წევრებს სამომავლოდ რაიმე სახის ბერკეტის შემუშავების შესახებ, რათა დარჩენილი მოსაკრებლის ამოღება იქნას შესაძლებელი, ვინაიდან დღეისათვის მუნიციპალიტეტს მოსაკრებლების ამოღების შესრულება 50%-იც არ აქვს.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ განაცხადა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის 94%-იანი შესრულება ასეთ გარდამავალ პერიოდში მისასალმებელია და აღნიშნა, რომ ეს მერის დაუღალავი შრომის შედეგი იყო და წარმოდგენილი ანგარიში შეაფასა დადებითად.

საკრებულოს წევრებმა: შორენა კარანაძემ, მინდია არძენაძემ, ჯემალ დავითაძემ, გოჩა ჟღენტმა, ირაკლი მახარაძემ და დავით სირაბიძემ ბიუჯეტის ანგარიშის კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: არ იქნას მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220844, 25.03.2022 წელი).

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელმა გივი დევაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში (წერილის ნომერი: 12-95220592-95, 28.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ იყო შეუსაბამობაში მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში სულიკო ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან. კერძოდ, შესყიდვების გეგმის ანგარიშში შესყიდვების გეგმა შეადგენდა 8 620 960 ლარს, ხოლო სულიკო ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში კი - 8 210 000 ლარს, ასევე დაინტერესდა რომ შეწყვეტილ იქნა 5 და უარყოფითად დასრულდა 16, სულ 21 ტენდერი, ხოლო სულიკო ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში შეწყვეტილი ან უარყოფითად დასრულებული იყო 20 ტენდერი. კითხვით მიმართა მომხსენებელს გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად როგორ იქნა შესრულებული მაშინ როდესაც სამი ტენდერის განხორციელება ვერ მოხერხდა. კერძოდ, კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა, ვაიოში მოედნის მიმდებარედ ატრაქციონის მოწყობა და წონიარისის ცენტრის კეთილმოწყობა.

მომხსენებელმა გივი დევაძემ განმარტა, რომ რადგანაც შესყიდვების საანგარიშო პერიოდი 2021 წლის ნოემბრის თვიდან იწყება, მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2021-2022

წლების ანგარიში იყო, ხოლო სულიკო ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი კი 2022 წლის და ამიტომაც იყო ზემო აღნიშნული სხვაობები.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 4 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, შორენა კარანაძე და მინდია არძენაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220843, 25.03.2022 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელმა შოთა ბერიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: 12-95220541-95, 23.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ანგარიშის წარდგენისათვის და კითხვით მიმართა 2022 წელს რა მთავარი პრიორიტეტი ექნებოდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურს, აქვე დაინტერესდა რამდენად ეფექტურად იკვლევს მერიისა და საკრებულოს ხარჯებს და ასევე დასაქმებული ადამიანების შესახებ რამდენად გამოკვეთილია ნეპოტიზმის ნიშნები მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რა ბედი ეწეოდათ ბაგა-ბაღებში შტატების გაერთიანების შემდგომ უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლებს.

მომხსენებელმა შოთა ბერიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი პრიორიტეტი 2022 წელს რისკების მართვა იქნება და მონაწილეობითი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გაკონტროლება, რაც შეეხება ბაგა-ბაღებში არსებული შტატების გაერთიანებას მას შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ. თუმცა ეს პროცესი ნელა ხორციელდება, ნაწილი სხვა სამსახურში გადასვლის მიზეზით ტოვებს, ნაწილი კი - პენსიაში გასვლით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: არ იქნას მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220845, 25.03.2022 წელი).

6. მოისმინეს: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელმა დავით თედორაძემ საკრებულოს წარუდგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში(წერილის ნომერი: 12-95220532-95, 22.02.2022 წელი).

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა დაინტერესდა, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ქედის მუნიციპალიტეტმა ახალციხის გოგირდოვანი წყლების საჭიროებას და აბასთუმნის სასარგებლო ჰავაზე არ შეაჩერა არჩევანი ხელშეკრულების დადებისას. მაშინ როდესაც 2021 წელს ძალიან ბევრმა საჯარო მოხელემაც კი ისარგებლა სახელმწიფო პროგრამით, სადაც კოვიდგადატანილებმა, რომელსაც დაზიანებული ჰქონდათ ფილტვები სახელმწიფოს პროგრამის დაფინასებით დაისვენეს აბასთუმანში.

მომხსენებელმა კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტმა ახალციხის გოგირდოვან წყლებისგან 50%-იანი ფასდაკლების შემოთავაზებას მიაღწია, ამიტომ გაფორმდა ხელშეკრულება მათთან. შესაბამისად, სხვა გაჯანსაღებელი ცენტრები თუ დაინტერესდებიან მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ფასდაკლებებით, შესაძლებელია მათთანაც თანამშრომლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: არ იქნას მიღებული წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №გ-95.95220846, 25.03.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 14:15 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე